

ახალი თაობა



ემზარ ჯგერენია:
„ლარი ისევ
გაუფასურდება“



გვ.6

2 მარტიდან
ვიქტორ ვიუგო
საბრალონი

ტომი III



ფასი
გაუთიან
ერთად
10 ლარი

სუთშაბათი, 2 მარტი, 2017

№51 (7286)

ფასი: 50 თეთრი

ვინ აპირებდა პატრიარქის იზოლაციას



გვ.2

მამა გიორგი მამალაძემ
პროკურორები დაწყებულა

„თუ მქონდა ციანიდი და
თუ ვაპირებდი პატრიარქის,
შორენას თუ სხვა მაღალი
იერარქიის სასულიერო
პირის მოწამვლას, მაშინ
ამ წყევლით იცხოვროს
ჩემმა შთამომავლობამ,
თუ არადა – თქვენმა“

7 მარტს სინოდის სხდომა გაიმართება გვ.5

კონსტანტინე გამსახურდია:
„საპატრიარქოში
განვითარებული
მოვლენები გამაფრებელი
კონკურენციის შედეგია“

გვ.3



რუსეთი
აფხაზეთში
გასასვლელად



კატაპს გვ.4

ფემალ გამახარია:
„ეს არის პასუხი
ვიზალიბერალიზაციაზე“



ნარმანიასთან საკრებულოს
გვ.3
დაუბრუნებელი არ შეუშვას

რომან
გოსირიძე:
„მოსმენების
კანონი საბჭოთა
ნარსულში
გვაბრუნებს“ გვ.7




ანზორ
აბრალაძე:
„საქართველოში
სორსიელდება
მართვადი ქაოსის
სქემა“ გვ.5



კანტონამ საუკეთესო პარტნიორად მაკალისტერი ცნო

ერიკ კანტონას წარდგენა არ სჭირდება – ფრანგ საფეხბურთო სამყაროში კარგად იცნობენ. განსაკუთრებით დიდ მონაწილას კი მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატიკეებში ინვეცია.



თუმცა, ვაიმობთ „ინვეცია“, რადგან სულ ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადების შემდეგ, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედის გულშემატიკეებში კრიტიკის ობიექტი გახდეს.

საქმე ისაა, რომ კანტონას პკითხეს, თუ ვინ იყო საუკეთესო ფეხბურთელი, ვისთან ერთად იყო მას ოდესმე უთამაშია. არჩევანის გაკეთება ერიკს ნამდვილად უნდა გასჭირვებოდა, რადგან „ოლდ ტრაფორდზე“ მის გვერდით რაიან გიგზი, როი კინი, პოლ სკოულზი თუ სხვები საოცრებებს სწავლიდნენ.

კანტონამ კითხვას ლიმილით უპასუხა – გარი მაკალისტერი. ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ ის და გარი ერთად ჯერ კიდევ 1991-92 წლებში თამაშობდნენ. მაშინ ლიდმა სწორედ მათი დახმარებით შეძლო პრემიერლიგის მოგება.

ბრაზილიაში საუკეთესო კოუჩინოა



ბრაზილიაში წლის საუკეთესო ფეხბურთელად ლივერპულის ნახევარმცველი ფილიპე კოუტინო დასახელდა, რომელმაც მემბის 32,13 პროცენტი მიიღო.

საფეხბურთო ჯადოქრების ქვეყანაში ეს ჯილდო 2008 წლიდან გაიცემა და წარსულში სხვადასხვა დროს მოპოვებული კაკას, ტიაგო სილვასა და ნეიმარს აქვთ.

ფილიპე კოუტინო: – ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს. მნიშვნელოვანი წელი იყო და ბედნიერი ვარ, რომ ეს ჯილდო მოვიპოვე. როგორც გუნდმა, გასულ წელს კარგად ვითამაშეთ და ორი ფინალის საგზურიც მოვიპოვეთ. სამწუხაროდ, ორივეში დავმარცხდით, თუმცა ამან უფრო გაგვაძლიერა. ახალი სეზონი კარგად, მაღალ დონეზე დაიწყო. ასე რომ, 2016 კარგი წელი იყო. მწვრთნელი ჩვენგან ბევრს ითხოვს. რა თქმა უნდა, ყველას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა. ნება მოგვცით გავაყვით ის, რაც გვსურს. ყველა ერთად ვეშაობთ, როგორც ერთი გუნდი.

ინტერი აბრაამოვიჩს კონტას სთხოვს

იტალიური მედიის ცნობით, ლონდონის ჩელსის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე მიმდინარე წლის ზაფხულში სათავეში მილანის ინტერს ჩაუდგება.



როგორც ირკვევა, 47 წლის ფეხბურთის იტალიელი სპეციალისტი ინტერის ახალი მენეჯერების შუთავაზებას იმიტომ დათანხმდა, რომ ხელფასს 11 მილიონი ევროდან 15 მილიონი ევრომდე გააზრდინა.

უახლოეს ხანში ინტერის იურისტები ჩელსის მენეჯერს რომან აბრაამოვიჩთან კონტეს კონტრაქტის ნაადრევად შეწყვეტაზე დაელოპარაკებებიან.

შეგახსენებთ, რომ კონტე ლონდონურ კლუბს სათავეში შარშან ზაფხულში ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით ჩელსი ინგლისის პრემიერლიგის ცხრილს ლიდერობს და უახლოეს მდევარ ტოტენჰემს 10 ქულით უსწრებს.

ლონდონში ჩასვლამდე კონტე ტურინის იუვენტუსში მუშაობდა და დიდი უპირატესობით იგებდა სერია ა-ს.

ლივერპულმა სტარიჯის გაყიდვა გადაიფიქრა



ლივერპული ზაფხულში თავისი ერთ-ერთი ფორვარდის დანიელ სტარიჯის ტრანსფერზე დაყენებას აპირებდა, მაგრამ ეს აღარ მოხდებოდა.

სტარიჯის ხშირად აქვს ტრავმები, რის გამოც ის გუნდს სათანადოდ ვერ ესმარება, ამიტომ ლივერპული მის გაყიდვას აპირებდა.

სტარიჯის შექმნით ფრანგული პსჟ იყო დაინტერესებული.

ლივერპული მისი დაინტერესებულია, რომ მისთვის ლივერპულში დარჩენა ამ ეტაპზე უკეთესი იქნება.

სტარიჯი ლივერპულის ღირსებას 2013 წლიდან იცავს.


მიამზადა ბექა გიგანაშვილი

ფაჩულია ორმაგი დუბლის ზღვარზე

გოლდენ სტიეტი ვაშინგტონში ვიზარდსთან 108:112 დამარცხდა. ეს გახლდათ ოკლენდელთა მე-10 წაგება მიმდინარე სეზონში, თუმცა ზაზა ფაჩულიას გუნდს 50 მოგება გააჩნია და ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციას დამაჯერებლად ლიდერობს.

თუმცა, ნაგების გარდა მეომრებს უფრო ცუდი ამბავი შეემთხვათ, რომლის მონაწილე ფაჩულიაც იყო. ვაშინგტონელთა პოლონელმა ცენტრმა გორტატიმ, რომელიც ზაზას არაერთხელ ჰყავს დაჩაგრული, ქართველ ცენტრს ჭიდაობის ილეთი ჩაუტარა. გორტატის უხეშობის შემდეგ ფაჩულია წაიქცა და თანაგუნდელ კევინ დიურანტს მარცხენა მუხლზე დაეჯახა. 2014 წლის ნბას მკვ დაშავდა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ამით დასრულდა დიურანტის 562-მატჩიანი სერია, რომლის განმავლობაშიც თითოეულში მინიმუმ 10 ქულა ჰქონდა მოგროვებული.

ფაჩულიამ კი კვლავ შედეგაინად ითამაშა და ორმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა. ფაჩულიას და გორტატის დუელი კი გაგრძელდა. პოლონელმა ცენტრმა 12 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა, თუმცა მან ზაზაზე 5 უნთით მეტი ითამაშა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კი 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. ფაჩულიამ 8-დან 4 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.



ტრმა 12 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა, თუმცა მან ზაზაზე 5 უნთით მეტი ითამაშა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კი 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. ფაჩულიამ 8-დან 4 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

კაპიტანმა კი 12 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. ფაჩულიამ 8-დან 4 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

ქუთაისმა ბათუმს პლეი ოფისთვის ბრძოლა გაუართულა



ბათუმი-ქუთაისი 70:96 (13:23, 17:22, 19:24, 21:27) სუპერლიგის მე-19 ტური ერთი ნაადრევი მატჩით ბათუმში დაიწყო. ადგილობრივმა გუნდმა ქუთაისს უმასპინძლა და წინააღმდეგობა ოდნავაც ვერ გაუწია – სტუმრებმა შეხვედრა მალაგა-ბეტისი 2:0 დაიწყეს.

რეგეონალური დერბი საინტერესო ვერ გამოდგა. ქუთაისელებმა მატჩის დასაწყისში რომ მოიპოვეს უპირატესობა, თამაშის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. პირველი მეოთხედი ქუთათურებმა 23:13 მოიგეს და უპირატესობა შეინარჩუნეს.

შედეგები

Table with columns for match type, teams, and scores. Includes '28 თებერვალი ფეხბურთი ინგლისი. ჩემპიონლიგა' and 'ასტონ ვილა-ბრისტოლი 2:0'.

Table with columns for match type, teams, and scores. Includes '7. ეიზობარი 25 11 6 8 41-33 39' and 'აინტრახტი-არმინია 1:0'.

Table with columns for match type, teams, and scores. Includes 'ნოვარა-ბენევენტო 1:0' and 'უფროსი-ბანოლი 3:1'.

მარიო გიოტცემ შესაძლოა კარიერა დასრულოს

დორტმუნდის ბორუსიას 24 წლის ნახევარმცველმა მარიო გიოტცემ შესაძლოა კარიერა დასრულოს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მას მეტაბოლიზმის, ანუ ნივთიერებათა ცვლის პრობლემა აღმოუჩინეს. გერმანელი ექიმები არ გამოირიცხავენ, რომ მას სერიოზული და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება.

თვითონ გიოტცე ოპტიმისტურად არის განწყობილი და დარწმუნებულია, რომ პრობლემას გაუმკლავდება და მოედანს დაუბრუნდება.

გიოტცე გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება და, მაგრამ ბაიერში გადასვლის შემდეგ მისი კარიერა უკან წავიდა.

გიოტცემ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა.



მემაკასების გაჯანსაღების სენტი

სქესობრივი უძლეურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიანი გადაგვარებაზე) შარდვის პრობლემის ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმეორებადი ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშის, აკვიატებების, აგრესიულობის, ტერორის სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმეორება, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება – დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება – 0.

მის.: მეტრო „დიღუპი“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ. კაბ. 6. 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიაში

ახალი თარბა



გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhaliatoba

ქართული ლარის მიხედვით უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	— 2.5494		ევრო	— 2.7016
	ინგლისური სტერლინგი	— 3.1712		100 რუსული რუბლი	— 4.3661



28 თებერვალიდან ჩემი პირველი პოეზიის ანთოლოგია

ნიგნში შეტანილია მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული 87 ქართველი პოეტის 293 საბავშვო ლექსი, რომლებიც დალაგებულია ასაკისა და თემატიკის მიხედვით. იგი დაეხმარება ბავშვს სიტყვათა მარაგის დაგროვებასა და აქტიურად გამოყენებაში.

შასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

1 მარტიდან რეზო თაბუკაშვილი

13 დღე

შასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

10 მარტიდან 120 ამბავი ალექსანდრე მაკაედონელი

შასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

3 მარტიდან გია ბულაძე 200 ამბავი მხატვრობაზე

შასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ანჯელინა ჯოლის შვილობილი კინოპროდიუსერი გახდა



მედოკს ჯოლი-პიტი, ამერიკელი მსახიობის ანჯელინა ჯოლის 15 წლის შვილობილი, ფილმის აღმასრულებელი პროდიუსერი გახდა, რომელსაც მისი დედობილი იღებს.

ჯოლის თქმით, სწორედ მან დაარსდა ის, რომ ამ პროექტში ჩართულიყო. ერთი წლის წინ მედოკმა მას უჩვენა წიგნი სახელწოდებით „მათ ჯერ მამაჩემი მოკლეს: კამბოჯელი გოგონას მოგონებები“, რომელიც ამერიკელ მწერალ ლუნ უნს ეკუთვნის და მასი „წითელი ქსებების“ მმართველობაზე მოთხრობილი.

— ის კითხულობდა სცენარს, იძლეოდა რჩევებს და სამუშაო თათბირებში მონაწილეობდა, — ამტკიცებს მსახიობი.

მედოკს კამბოჯაში 2001 წელს დაიბადა. შვიდი თვის შემდეგ ის ანჯელინა ჯოლიმ იშვილა და აშშ-ში წაიყვანა. მოგვიანებით ისინი რამდენჯერმე ესტუმრნენ კამბოჯას.

შაშადა კახა ხატიაშვილი

იემოხი

ახალგაზრდა ლამაზი ქალი ამერიკაში ტრასაზე მანქანით მიდის და ბენზინი გაუთავდება. ამ დროს ცხენით ინდიელი ჩამოვივლის და ქალს ბენზინგასამართ სადგურამდე მიყვანას შესთავაზებს. ქალი დათანხმდა, ინდიელის ზურგს უკან მოახტა ცხენზე, ხელები ნელზე შემოხვია და ინდიელმა ცხენი გააჩქარა. მიდინ და მთელი გზა ინდიელი უცნაურად კენის და ოხრავს. ბოლოს ადგილამდე მივიდნენ, ქალი ცხენიდან ჩამოსტა, ინდიელი უცბად დაშვიდა, საბრძოლო ყიფინა დასცა და პრერიისკენ გაქუსლა. ბენზინგასამართ სადგურის თანამშრომელი ქალს ეკითხება:

- რა გაუკეთეთ, ასეთი ადგენილი რაა?
- არაფერი, უბრალოდ მის ზურგს უკან ვიჯექი, ხელები ნელზე მქონდა შემოხვეული და უნაგირის წვერზე ვიყავი ჩაჭიდებული.
- ქალბატონო, ინდიელები უნაგირს არასოდეს ხმარობენ!

ნარკომანები ქუჩაში „აბირუავენ“. ამ დროს ზანგი გამოვივლის. ერთ-ერთი გააჩერებს და ეკითხება:

- ვინ ხარ, ტო?
- ლეონარდო დიკაპრიო.
- ნარკომანი მეგობარს მიუბრუნდა და ეკითხება:
- ბიჭო, ხომ არ იცი, ტიტანიკი დაინვა თუ ჩაიძირა?

სილამაზის სალონში სტილისტი კლიენტს ეკითხება:

- იცით, რომ თმები გიჭადრავენ?
- სულაც არ მიკვირს, ცოტა სწრაფად, რომ შემკრიჭოთ, არ შეგიძლიათ?

მასწავლებელმა მოსწავლეს სახლში მიაკითხა და მამამისს ეუბნება:

- თქვენი შვილი უზრდელია.
- რა გააკეთა?
- შენიშვნა მივეცი, მან კი მიპასუხა, რომ გიხმარო.
- ახლავ გაგვარკვევ-კაცი ფანჯარასთან მივიდა და შვილს გასაბა:
- გიგი, შენ და მასწავლებელმა იჩხუბეთ?
- ჰო.
- მართლა უთხარი, რომ გიხმარო?
- ჰო.
- მე რე, მაშინ რას დაყუდეულხარ ქუჩაში, სახლში შემოდი, უკვე აქ არის!

შაშადა კახა ხატიაშვილი

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

ვიქტორ ჰიუგო საბრალონი

<h3>23 თებერვალიდან ტომი I</h3> <p>შასი გაზეთთან ერთად 10 ლარი</p>	<h3>27 თებერვალიდან ტომი II</h3> <p>შასი გაზეთთან ერთად 10 ლარი</p>	<h3>2 მარტიდან ტომი III</h3> <p>შასი გაზეთთან ერთად 10 ლარი</p>	<h3>6 მარტიდან ტომი IV</h3> <p>შასი გაზეთთან ერთად 10 ლარი</p>
---	--	--	---



ინგარი ისკოს შექმნას შეხსდება

მადრიდის რეალის ნახევარმცველი ისკო ალკორკონი საგარეოდად ზაფხულში გუნდს დატოვებს.

მისი შექმნა ბევრ კლუბს სურს. აქამდე საუბარი იყო ინგლისურ გუნდებზე, მაგრამ საქმეში იტალიური ინტერიც ჩაერთო, რომელიც ასევე შეეცდებოდა ისკოს გადაბირებას.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინტერის მფლობელი რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესს შეხვდა და მათი საუბარი სწორედ ისკოს ტრანსფერს ეხებოდა.

ინტერი მზად არის, 30 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა მხარეები ჯერ არ მოლაპარაკებულან.

ისკოს არ აქვს ბევრი სათანამშრომლო დრო რეალში და მისი სხვა გუნდში გადასვლა არავის გაუკვირდება.

კლაუდიო რანიერის ინგლისში დარჩენა სურს

ლესტერის ან უკვე ყოფილ მწვრთნელს კლაუდიო რანიერის ინგლისში დარჩენა და პრემიერ ლიგის გუნდში მუშაობა სურს.

ამის შესახებ იტალიელი სპეციალისტის აგენტმა ისაუბრა. მისი თქმით, რანიერის უკვე აქვს რამდენიმე შემოთავაზება იტალიიდან და ჩინეთიდან, მაგრამ კლაუდიოს ისევ პრემიერ ლიგაში სურს მუშაობა.

ჯერჯერობით უცნობია, აქვს თუ არა ინგლისური კლუბისგან შემოთავაზება რანიერის.

შეგახსენებთ, რომ ლესტერმა რანიერი რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლა თანამდებობიდან, რის მიზეზზეც ლესტერის ცუდი შედეგი დასახელდა.

წინა სეზონში ლესტერმა რანიერისთან ერთად პრემიერ ლიგა მოიგო.

შაშადა ბექა გოგინაშვილი



კრისკოხი ა

შეუღალა: 1. ქართველი მოქანდაკე, როდენის მონაფე; 2. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა შექსპირის პიესები; 3. ნავსადგური იორდანიაში; 4. ავსტრალიური სირაქლემა; 5. მაღალბარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. აშშ-ის პირველი პრეზიდენტი; 12. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 15. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 16. გერმანული ფარმაცევტული კომპანია; 17. ხელით სასროლი ფეთქებადი ქურვი; 20. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე.

თარაზულა: 6. სამოქალაქო სამართალი; 7. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 9. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 13. არომატული, მატონიზირებელი, უალკოჰოლო სასმელი; 14. ბოშათა წინამძღოლი; 18. ფრანგი მარშალი, შვეციის მეფე; 19. მტრედის ბარტყი; 21. გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 22. ყველაზე დიდი მდინარე აფრიკაში; 23. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 24. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილი

შაშადა კახა ხატიაშვილი